ოქმი:**ო03. 3725148001**

თარიღი:**28/05/2025**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 27 მაისი
ქ.ოზურგეთი
12:00 -12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ქარჩავა, მ. ვაშალომიძე, ქ. ხომერიკი, ბ. მელუა, გ. მდინარაძე, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე,

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, შეადარა იგი წინა პერიოდის ანგარიშს და აღნიშნა, რომ შენიშვნები და ხარვეზები ახალ ანგარიშში მნიშვნელოვნადაა შემცირებული, მაგრამ მაინც შეინიშნება, მათ შორის საწვავის და საკრებულოს არათანამდებობის მქონე წევრების უფლებამოსილების განხორციელების ხარჯებში. კონკრეტულად ისაუბრა ნაკლოვანებებზე და იმ 8-რეკომენდაციაზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი